

ხალგაზრდა პერიოდი

ქვემოთ ნომრის 1921 წლიდან

სამზაგათი 4 სექტემბერი № 95 (11581) 1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 8 კაპ.

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს საგანგებო სესია

მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით

გაუზიან სოხუმში ჩატარდა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა კრება, რომელიც მოწვეული იყო აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ინიციატივით და საზოგადოებრიობის მოთხოვნით. დაფიქსირებული იყო აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს სხვადასხვა ეროვნების 71 დეპუტატის გამოცხადება.

დეპუტატთა ნაწილის მოთხოვნით და იმის გათვალისწინებით, რომ გამოცხადდა სათანადო ქვორუმი, ერთმანდალად გადაწყდა ეს კრება ჩაითვალოს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიად.

სესია გახსნა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ლამარა კვიციანიძემ. სესიის დღის წესრიგში შეტანილი იქნა ერთი საკითხი — „აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს მეათე სესიის შესახებ“, რომელიც 1990 წლის 25 აგვისტოს გაიმართა.

მოსხენებით ამ საკითხზე გამო-

ვიდა აფხაზეთის ასსრ უმღელესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ ყოლბაია. საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები: ელეონორა ქვარანძია, რევაზ სალუქვაძე, მაყვალა გელაშვილი, ვრეჯ ზებელიანი, ალექსანდრე მოსკალენკო, ნაპოლეონ ქარქაშიაძე, რომლებმაც გამოაცხადეს თავიანთი უთანხმოება აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს მეათე სესიის გადაწყვეტილებებისადმი, რომელთაც, მათი აზრით, აქვთ ანტიკონსტიტუციური, კანონსაწინააღმდეგო ხასიათი. კამათის მონაწილეებმა გამოთქვეს სურვილი შეუპოვრად ვალდებულნი ავტონომიურ რესპუბლიკაში ეროვნულ მშვიდობას, თანხმობას, რათა არ შეილახოს აფხაზეთის ყველა ხალხთა უფლებები. ისინი მოუწოდებდნენ ყველა დეპუტატს, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებების წარმომადგენლებს კეთილმოსურნე დიალოგისაკენ — ყველა იმ საკითხზე, რაც მოსახლეობას აღელვებს.

ჩვენს კოლეგას

საკავშირო გაზეთებისა და ტელევიზიის საკუთარ კორესპონდენტებს საქართველოში.

საკავშირო ტელევიზიამ თუ გაზეთებმა არ უღალატეს ტრადიციას და ძირითადად ცალმხრივად გააშუქეს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 25 აგვისტოს სესია. პრაქტიკულად არაფერი თქმულა, ამართლებრივი თუ ისტორიული თვალსაზრისით მისი გადაწყვეტილების უკანონობაზე, იმ თვალთმაქცობასა და სიყალბეზე, რის ძალითაც იქნა შესაძლებელი ანტიდემოკრატიული გადაწყვეტილების მიღება. გზობით ყველაფერი გააკეთეთ, რათა ამჯერად მაინც მიწვედეს სიმართლე თქვენს მკითხველებს თუ ტელემაყურებლებს, ეცნობოთ მათ აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს ამჟამინდელი გადაწყვეტილების შესახებ.

განხილულ საკითხზე მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილება, რომლის თანახმად აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 25 აგვისტოს დადგენილება „აფხაზეთის ასსრ სახელმწიფოებრიობის სამართლებრივი გარანტიების შესახებ“ უქმდება როგორც ანტიკონსტიტუციური, უკანონო და დაუსაბუთებელი. ასევე უარყოფილია დეკლარაცია აფხაზეთის ასსრ სახელმწიფოს სუვერენიტეტის შესახებ, რომელიც ეწინააღმდეგება აფხაზეთის ასსრ მოსახლეობის უმეტესობის ინტერესებსა და სურვილებს.

დაუსაბუთებელი ბრალდებანი საქართველოსა და ქართველი ხალხის მისამართით, რაც 1990 წლის 25 აგვისტოს გაისმა, დაგზობილია, იგი აყალბებს ისტორიულ სიმართლეს და მიყვარათ ავტონომიურ რესპუბლიკაში კონფორტისა და ვითარების დესტაბილიზაციამდე.

სესიამ მოიწონა და დროულად ცნო აფხაზეთის ასსრ მოსახლეობის უმრავლესობის მოთხოვნები კანონიერად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმღელესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება „აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილებების შესახებ“.

მიღებულია გადაწყვეტილება, შეიქმნას სადეპუტატო კომისია 1990 წლის 25 აგვისტოს სესიაზე დეპუტატების რეგისტრაციის დროს დაშვებული საპროცედურო დარღვევების, სესიის მომზადებისა და ჩატარების პროცესში მართლსაწინააღმდეგო მეთოდების გამოყენების ფაქტების გამოსარკვევად.

მოწონებულ იქნა ყველა დონის დეპუტატთა ჩაუფრთხილებლობა იმის შესახებ, რომ შეიქმნას ეროვნული თანხმობის კომიტეტი, აფხაზეთის ყველა რეგიონის, ეროვნების, ეთნიკური ჯგუფის, საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენლებისაგან.

აფხაზეთის ასსრ არსებული კანონმდებლობის საფუძველზე გადაწყდა ჩატარდეს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების არჩევნები მიმდინარე წლის დეკემბერში.

საგანგებო სესიის მიერ მიღებული დადგენილება ეგზავნება სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს, საქართველოს სსრ და რსფსრ უზენაეს საბჭოებს, ქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მეშვეობით.

იოსებ გოზაია, „კომუნისტის“ საქ. კორ. „კომუნისტი“, 1 სექტემბერი.

ხელგაშლილობა — საქართველოს ინტერესებისათვის

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში პირველ გვერდზე გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში არცთუ მრავალმნიშვნელოვნად დავსვით კითხვა — ხელგაშლილობა — ვის ხარჯზე? საქმე საქართველოდან 40000 კოლოფი სიგარეტის გაყიდვას ეხებოდა. ჩვენი აღფრთობა ბუნებ-

რივი იყო, რადგანაც მივიჩინეთ, რომ მაშინ, როცა რესპუბლიკაში სიგარეტის არსებული დეფიციტია, ასეთი ხელგაშლილობა გაუმართლებელია. გაზეთი დაბეჭდილი იყო, როცა ერთი საინტერესო დოკუმენტი გავაცნეს. აი ისიც:

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ ДИРЕКТОРУ
СОЛЖИКАБУМПРОМ
ИЗВЕЩЕНИЕ ВОЛНЕНИЯ РАБОТАЮЩИХ ОТСУТСТВИЯ ТАБАЧНЫХ ИЗДЕЛИЙ ЭТО
ОБРАЩАЕМСЯ К ВАМ ОКАЗАНИИ ПОМОЩИ В ЭТОМ ВОПРОСЕ УКАЖИТЕ
ПОСТУПИЛИ ПРОСЬБЫ ТЧК СРМВ ПЛАНА ВОСТАВКИ БУМАГИ ВАШ АДРЕС
ВОЗМОЖЕН УКАЗАНИЕ ПРИЧИНЕ ТЧК СООБЩИТЕ ВАШЕ РЕШЕНИЕ-5140
СОЛЖИКАБУМПРОМ УЛАИОД

— საქართველოს კ ცკ-ის გამოცემლობა, დირექტორს, — „სოლიკაბუპრომში“ ხაგაზეთო ქალაქის გამოშვების ჩავარდნის ზღვარზეა. მიზეზი მუშათა თამაქოს ნაწარმის უქონლობით გამოწვეული მდღევარებაა. მოგმართავთ თხოვნით, ამ საკითხში აღმოგვიჩინოთ დახმარება. წამოაყენეთ შემხვედრი თხოვნები. თქვენთვის ქალაქის მოწოდების გეგმის ჩაშლა შესაძლებელია აღნიშნული მიზეზით. გვაცნობეთ თქვენი გადაწყვეტილების შესახებ.

„სოლიკაბუპრომში“, ულანოვი.

დაგვერწმუნებთ, ჩვენთვის არცთუ ორდინალური სიტუაციაა. უცხოური ალტერნატივის წინაშე ვდგავართ. რა ვქნათ?

ჩვენც ვგრძნობთ სიტუაციის უხერხულობას, მაგრამ ამჯერად ამ გაჭირვების უამრ რესპუბლიკიდან სიგარეტის გარკვეული რაოდენობის გატანას უნდა დავუკვიროთ მხარი, რადგან, როგორც ხედავთ, საკითხი მთელის პირდაპირობითაა დაყენებული — ან სიგარეტი, ან ქალაქი. ცხადია, კარგად გვესმის მწველებს (სწორედ მათ მხარდასაჭერად დავბეჭდეთ წინა ნომერში პუბლიკაცია), მაგრამ საქმე ქართული პრესის ყოფნა-არყოფნას ეხება, პერმის ოლქიდან ქალაქის მოწოდების შეწყვეტა ჩვენი გაზეთების გამოუსვლელობას

ნიშნავს. ეს კი, ამაში ვფიქრობთ ეჭვი არავის ეპარება შეაფერხებს. დემოკრატიზაციის პროცესს, საერთოდ ეროვნულ მოძრაობას საქართველოში.

საბაზრო ეკონომიკის კანონებმა რეალობის წინაშე დაგვაცუნა. საქართველოს კ ცკ-ის გამოცემლობის ხელმძღვანელობამ ოპერატიულად თხოვნით მიმართა რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, რათა აღნიშნული პრობლემის მოგვარებისათვის გამოიყოს გარკვეული რაოდენობის თამაქოს ნაწარმი და იმედია, რომ არა მარტო მთავრობა, არამედ საზოგადოება, მათ შორის კი, ცხადია, თამაქოს ნაწარმის მომხმარებლები, მხარს დაუჭერენ ამ თხოვნის დადებითად გადაქრას.

საბათს, პირველ სექტემბერს ბრინჯაოსა და ქვანთი ვაცოცხლდა საქართველოს ისტორიის ერთი სწორუპოვარი ფურცელი, გაიხსნა დიდგორის ბრძოლის მემორიალი, რომლის წარწერა დააღებებს:

„ქრძალვით მივეახლოთ ამ წმინდა ადგილს, სადაც 1121 წლის 12 აგვისტოს დავით აღმაშენებელმა ძღვევამოსილი ომი გადაიხსა და შეწყვეთა დღისათა იხსნა საქართველო“.

პუბლიკაცია №. 80-5 83.



ოკეანისგაღმიდან მიღებული სურათების ფოტორეპროდუქციები

ამერიკაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულის ცისანა ჯანაშვილის შემოქმედება

80-7 83.

გაითვალისწინა რა ფართო საზოგადოებრიობის სურვილი, თბილისის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმმა 30 აგვისტოს დადგინებით ლენინის მოედანს უწოდა თვისუფლების მოედანი.

27-მა პოლიტიკურმა პარტიამ უკვე მოიპოვა უფლება დაახლოვდეს დეპუტატობის კანდიდატები საქართველოს უზენაეს საბჭოში და დანიშნოს თავისი წარმომადგენლები საარჩევნო კომისიებში. ეს ცნობილი გახდა საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში დეპუტატების არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შორივი ხსენების შემდეგ.

კომისიის მიერ ადრე რეგისტრირებულ 18 პოლიტიკურ პარტიას კიდევ 9 პარტია შეემატა. ეს არის ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი, საქართველოს ეროვნული ერთიანობისა და სოციალური თანასწორუფლებიანობის პარტია, საქართველოს მთიელთა პოლიტიკური კავშირი, საქართველოს ხანაღობი პარტია, არჩილ ჭორჭაძის საზოგადოება, სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი, სრულიად საქართველოს მშვიდობისა და დამოუკიდებლობის პარტია, საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტია.

ზუგდიდსა და დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონების მილიციითა გაფიცვა, რომლის შესახებაც გვექონდა საუბარი გაზეთის წინა ნომერში, შეწყდა იმის გამო, რომ შესაბამისი ხელმძღვანელი ორგანოები გაფიცულებს წამოყენებულ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას დაპირდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ინფორმაცია

პერიოდში, რაიონში მიმდინარე სტიქიური მოვლენების გამო, მათი მისვლა ვერ მოხერხდა. ამის თანაშემწე სათანადო ცნობა ჩადებულია სისხლის სამართლის საქმეში.

30 მაისს, პროკურორმა რ. ქუჩასბედიანს, რომელიც პირადად აწარმოებდა აღუკო ჩეგინის სიკვდილის ფაქტზე არსებული მასალების შემოწმებას, მისცა დავალება, მასალები გადაეგზავნა შ/ს რაიონული სასამართლოსათვის და დაეწესებინა სათანადო კონტროლი.

პროკურორის დავალება რ. ქუჩასბედიანმა დააკმაყოფილა შეასრულა — შ/ს რაიონული სასამართლოსათვის მასალები, 30 მაისის ნაცვლად 9 ივნისს გადაეგზავნა. ამ პერიოდში ემზარ ბენდელიანს სხვადასხვა საკითხებზე ორჯერ მოუხდა თბილისში, რესპუბლიკის პროკურატურაში ჩასვლა. 13 ივნისს რესპუბლიკის პროკურატურაში სსრ კავშირის პროკურატურების მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგებზე მიმდინარეობდა გაფართოებული კონსულტაცია, რის გამოც 12, 13 და 14 ივნისს ადვოკატები არ იმყოფებოდნენ. არსებული მასალების შემოწმებას კონტრეტულად რ. ქუჩასბედიანი აწარმოებდა. მან კი, როგორც უკვე ითქვა, მასალების გადაგზავნა დაავადებულმა 9 დღით და არაორი თვით. თანაც, მასალების გადაგზავნის ვადა დაარღვია არა პროკურორმა, არამედ თანამშრომელმა.

ლოდ რაიონის ბიუროს მას მალე რეკომენდაციას მისცემს პროკურორის თანამდებობაზე დასანიშნად!

ბრძანების სხვა პუნქტებთან ერთად ერთ-ერთი მნიშვნელოვანია რაიონპროკურორის სისტემაში ხანძრების შემთხვევები. მართლაც, 1984-87 წლებში რაიონპროკურორის სისტემაში მოხდა ხანძრის 7 შემთხვევა, სახელმწიფოს მიაღვა 90860 მანეთის ზარალი, დაზარალებული დაღუპული არ არიან. აღნიშნული ხანძრების ფაქტებზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეების გასასწავლად, დამაზარებლების დასადგენად ემზარ ბენდელიანმა იმისა საპროკურორო ზედამხედველობის ყველა ფორმა, მაგრამ იმის გამო, რომ შესაბამისმა ორგანოებმა მხარი არ დაუჭირეს, ღონისძიებებს შედეგი არ მოჰყოლია. მაგალითად, რაიონის ტერიტორიაზე ხანძრების გამომწვევ მიზეზებზე და შ/ს რაიონული სასამართლოს მიერ ამ მიმართულებით გაწეულ სუსტ მუშაობაზე, 1984 წლის 25 დეკემბერს, პროკურორმა პარტიის რაიონში შეიტანა ინფორმაცია (№ 704), ხოლო 1985 წლის 26 იანვარს ისევ პარტიის რაიონში შეიტანა ინფორმაცია (№ 53) საერთოდ რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული სახელმწიფო ობიექტების ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის შესახებ. 1985 წლის 24 აპრილის პარტიის რაიონში შეიტანა მესამე ინფორმაცია იმავე საკითხებზე, ანალოგიური ცნობა გადაგზავნა საქართველოს შ/ს ყოფილი მინისტრის გვეტამეს. ამის შემდეგაც ეს საკითხი არაერთხელ დაუფიქრებია სათანადო ორგანოების წინაშე, მაგრამ რეაგირება არ ჩანდა.

ბრძანებაში ხაზგასმულია, რომ ღონისძიების სახალხო სამართლებრივი სისტემის და სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვისას და შევსებულია სერიოზული ნაკლოვანებები, რაც არ არის მართალი. ხოლო ხუთი წლის განმავლობაში სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე არ ყოფილა გახანჩენის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევა, არც ერთ საქმეზე განხილვის ვადა არ დარღვეულა. ადვოკატი არ ჰქონია გამამართლებელი განაჩენის გამოტანას. ადვოკატი არ ჰქონია უკანონო პატიმრობის ფაქტს. სისხლისა და სამოქალაქო სამართლის ყველა საქმე თავისი სპეციფიკისა და სირთულის გათვალისწინებით განხილულია გამსწავლულ სხდომაზე... ყოველივე ამას ადასტურებს 1986-87-88 წლებში რესპუბლიკის პროკურატურის მიერ ჩატარებული შემოწმების აქტები.

ბრძანებაში აღნიშნულია ისიც, რომ პროკურატურა (ამ შემთხვევაში პროკურორი ბ. ჰ.) არ აწარმოებს ბრძოლას საჯაროებისა და დატაცების წინააღმდეგ. სწრაფი წიგნი რაიონის პროკურატურის მიერ საერთო ზედამხედველობით სისტემატურად მიმდინარეობდა ბრძოლა სახელმწიფო ქონების დამატაცებელთა წინააღმდეგ. ამის დასტურად გამოდგება სახალხო სამართლის მიერ განხილული საქმეები.

ცხადია, სხვა საკითხია, თუ რაიონის შ/ს განყოფილება სუსტად იბრძოდა აღნიშნული დანაშაულებების წინააღმდეგ. ამის უპირველესი მიზეზი კი ისაა, რომ შ/ს რაიონული სასამართლის მტკიცებლობისა და საექსპლუატაციო წინააღმდეგ მებრძოლი ინსპექცია დაკომპლექტებული იყო დაბალი პროფესიული მომზადების კადრებით. 1986 წლის თებერვალ-მარტში, რაიონპროკურორმა შეამოწმა აღნიშნული ინსპექციის საქმიანობა. შემოწმების შედეგად გამოვლენილ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, 1986 წლის 31 მარტს, № 8-86 წერილით ინფორმაცია სათანადო მასალებით გადაეგზავნა რესპუბლიკის პროკურატურას და პარტიის ლენტეხის რაიონში, მაგრამ უშედეგოდ.

წლის 28 იანვარს კი სოფელ ლაშხეთის ნუტრიების სამეურნეო-თავრობის საწარმოში ჩატარებული შემოწმების შედეგებზე. ორივე შემოწმების შედეგად გამოვლენილი იყო სერიოზული დარღვევები, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვოდათ პარტიული აქტივის მთელ რიგ წევრებს. პარტიის რაიონში შეტანილი ინფორმაციის ასლები ცნობისათვის 28 იანვარსა და 10 მაისს გადაეგზავნა რესპუბლიკის პროკურატურას. რასაკვირველია, ინფორმაციები არ განუხილავთ, სანაცვლოდ კი ყველა ის პირი, ვინც ამ საქმეებში იმხილებოდა, რაიონის პროკურორის დაუპირისპირდა.


თავისთავად იბადება კითხვა, თუ რა მასალების საფუძველზე დაწერა რესპუბლიკის პროკურატურამ ბრძანება? ზომ ნათელია, რომ ბრძანებაში მოყვანილი არგუმენტები პარტიის გამოკიდებული არ იქნება? მოკლე ვიტყვი, ძირითადად იმ წერილების საფუძველზე, რომლებიც პარტიის რაიონის წერილობით თუ ზეპირი განცხადებით შექმნილია რესპუბლიკის პროკურატურაში. წერილობითი ანგარიშები თუ ინფორმაციები იმდენად ტენდენტური, რომ ნებისმიერ წამყობველს არ შეიძლება ეჭვი არ გაუჩნდეს მათ რეალობაში.

და მაინც, ამ სტიქიონების ავტორის ისე ნურავინ გაუგებს, თითქოსდა ლენტეხის რაიონის ყოფილი პროკურორის დასაცავად მომზადდა ეს მასალა. შორს ვარ იმ აზრისგანაც, თითქოს ემზარ ბენდელიანს პროკურორად მუშაობის პერიოდში შეეცდომებოდა ან ნაკლოვანებები არ ჰქონია, პირიქით, როცა პირველად გავეცანი რედაქციაში შემოტანილ განცხადებას და საქმის რამდენიმე ტომს, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიის გადაწყვეტილება ლოგიკურ შედეგადაც კი მივიჩნევი. მაგრამ, მეტი და მეტი, როცა მოვახერხე მისი საქმის თითქმის ყველა ასპექტის გაანალიზება, ინტუიციით დავრწმუნდი ემზარ ბენდელიანის უდანაშაულობაში. რწმენა მით უფრო გამიმტკიცდა, როცა შევიტყუე, რომ მისი პროკურორობის პერიოდში ზუთი გამოძიებები შეიცვალა. მაგალითად: გამოძიებელი გ. მეშველიანი 1984 წლის ივნისში გავიდა პენსიაზე. ოქტომბერში გამოძიებლის ვაკანტურ თანამდებობაზე დაინიშნა სტატიორი გ. გოცირიძე, რომელიც 1985 წლის თებერვალში გადაიყვანეს ქ. ტყეშელის პროკურატურაში. 1985 წლის 21 თებერვალს ლენტეხის რაიონპროკურორის გამომძიებლად დაინიშნა ა. ქირია, რომელიც იმავე წლის დეკემბერში სხვაგან გადავიდა. შემდეგ დაინიშნა ე. რევიშვილი. იგი 1986 წლის 18 მარტს ქუთაისში გადავიდა. 28 მარტს კი დაინიშნა მეხუთე — სტატიორ-გამომძიებელი რ. ქურასბედიანი.


მას მერე, რაც ემზარ ბენდელიანი დაითხოვეს პროკურატურის ორგანოებიდან, თითქოსდა „დაიწმინდა ამლენიერი წყალი“, ვინაიდან რ. ქურასბედიანი, რომელიც უშუალოდ აწარმოებდა აღუკო ჩეგინის მკვლელობაზე სისხლის სამართლის საქმეზე ზედამხედველობას და რომელსაც 20 ივნისის ტრაველია მოჰყვა, სკკ პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღეს, პროკურორის თანამდებობაზე უშუამდგომლობა მისცეს, ხოლო შინაგან საქმეთა რაიონული სასამართლოსი — პარტიის ლენტეხის რაიონის ბიუროს წევრად. რას იზამ, თურმე ასეც შეიძლება მოხდეს, რისი განსაცაც მკითხველისთვის მიმინდვია.

ზემოთ უკვე ვთქვი, რომ ემზარ ბენდელიანი რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიის გადაწყვეტილებით აღადგინეს პროკურატურის ორგანოებში. უკვე შესთავაზეს კიდევ რამდენიმეგან ვაკანტური ადგილი, მაგრამ იგი ვერაწერილობით თავს იკავებს. ეგებ ისეთ „ცხელ წერტილებში“ ვიმუშაო, სადაც ქართველი კადრი უფრო საჭიროა.

გაიბარია



დაფუძნებული






ყრილობა



ამ რამდენიმე ხნის წინათ საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის სააქტივო დარბაზში გამართა კიდევ ერთი ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის — სრულიად საქართველოს მშვიდობისა და თავისუფლების პარტიის თავმჯდომარედ ერთხმად იქნა არჩეული ნოდარ გორგაძე, რომელიც დამფუძნებელი ყრილობის შემდეგ მეტად საინტერესო წინადადებებით გამოვიდა. საქმე ის განსაკუთრებითაა, რომ საქართველოს ავღანეთის ვეტერანთა კავშირი, დასსსრფ საზოგადოება გავცნო სრულიად საქართველოს მშვიდობისა და თავისუფლების პარტიის საკავშირეო ორგანიზაციის ავღანეთის ვეტერანთა კავშირი გამოდის. დასსსრფ საზოგადოება გავცნო სრულიად საქართველოს მშვიდობისა და თავისუფლების პარტიის პროგრამას და წესდებს, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად აღნიშნული იყო, რომ ამ პარტიის წევრი შეიძლება იყოს ავღანეთის ვეტერანი. საერთოდ ამის მონაწილე ვეტერანი, მათი

დიდგორმა გადაგვარჩინა



ღმერთმა დედამიწა ცაზე უფრო დიდი გააჩინა. არ მოერგო ცა დედამიწას, ვერ ესარქველებოდა. მაშინ მოუქცია თავისი ძლიერი მკლავები... ცა დაესარქველა, შავრამ ბიწა კი შეიზინჭა და აქა-იქ ამობურცა გორებდა.

ერთი ქართული ლეგენდის მიხედვით ასე გაჩნდა ჩვენს უთვალავი გორა, მთა და მწვერვალი. ცხელი, ერისა და ქვეყნის ისტორიაში თითოეულ მათგანს, ისევე როგორც თითოეულ სოფელს, ქალაქს თუ მდინარეს, თავისი ბედი და თავგანდავალი აქვს.

დიდგორი მაინც სხვა არის! და ამა წლის პირველ სექტემბერს, შაბათს, გახსნილი შემორჩალი თავისკენ გვიხმობს, გვეძახის ყველას, დიდსა თუ მცირეს.

მაშ, მოდით, ვისმინოთ მეგობრების ჯვრები სვეტის დარიგება — უკრძალვით მივებნათ ამ წმინდა ადგილს, სადაც 1121 წლის 12 აგვისტოს დავით აღმაშენებელმა ძლიერად მოიხრეწა და დაიბრუნა და შეწყვენილ ღვთისათა იხსნა საქართველო.

ხოლო გონების თვალთ, წყაროებიდან ამოკითხვის გახსენებით აღვადგინოთ უძთავრისი: მუსლიმანურ სახელმწიფოთა დიდმა მთავრებულმა არმიამ სწრაფად ჩარა და მოულოდნელად შემოიჭრა საქართველოში. მტერმა მხარმარჯვნივ დატოვა თბილისი და მანგლისთან გაჩერდა. ჯაროსნებთან ომებში გამობრძედილ, „ზვიადსა და ძლიერ“ მთავარსარდალს ნიჟმ ად-დინ ილღაზს და სხვა მის თანამდგომ სარდლებს განზრახული ჰქონდათ გადაეღობათ თრიალეთის ქელი, რომ დავით მეფეს ქუთაისი — იმჟამინდელი საქართველოში დასავლეთ საქართველოში განლაგებული ძალები ვერ დახმარებოდა.

არ დაგვიწყდეს: თბილისი მაშინ და მანამდე 400 წლის განმავლობაში უცხოელთა ხელში იმყოფებოდა. მტერს ეპყრა სჯერებდა ღმერთს, წინ იყო ანისის და შამახის ომები...

ბრძოლის ველად მეფემ აირჩია მთა დიდგორისა, მაღალი (1647 მ), თხემი უტყეო, კალთებ-ტყიანი, ბალახ-ყვავილიანი, წყაროებიანი, მრავალ ადგილთა მკვრეტელი...

1121 წლის აგვისტოს 12, ხუთშაბათი შეკრბნენ და მოვიდნენ მტერნი „ვითარცა ქვიშანი ზღვისა, თრიალეთს, მანგლისს, დიდგორს კინლა არ ეტეოდნენ ადგილებთა ამათ შინა“ (ქართლის ცხოვრება, IV, 160).

სომეხი მათეოს ურჰპეცის მიხედვით მტერი 560 000, ფრანგი გოტეს ცნობით 600 000, (ივანე ჯავახიშვილის ვარაუდით — 300 000) მხედარს ითვლიდა...

ქართველთა მეფემ ააფრიალა „ღროშა სვიანი, გორგასლიანი და დავითიანი“ — მისი ანგარიშით ამ მთიან-ტყიან ადგილებში, მტრის ცხენოსანთა სიბრავლე ფრთებს ვერ გაშლის...

ქართველთა ლაშქარში 56 000-მდე მხედარი: 40 000 ქართველი; 15 000 ყივჩაღი, 500 ალანი, 200 ჯვაროსანი...

მხედართმთავარი, მეფეთა მეფე დავით ძე გიორგისა, მესიის: მახვილი, მზე ქრისტეანობისა, ბრძოლის დაწყებამდე მამულიშვილებს სიტყვით მიმართავს:

„ეჰა, მეომარო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძობებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ...“

და მაშინ პირველად მეფემ იხმარა საბრძოლო ხერხი, რომელიც შემდეგ მსოფლიო ომების ისტორიაში შევიდა...

ქართველთა ჯარს ფიცხლად გამოეყო და მტრის ბანაკისაკენ გაეპარა 200 რჩეული მხედარი, მტერმა ისინი მათ შხარზე გადასულ მოლატეებზე მიიჩნია და დაუბრკოლებლად შუაგულ ბანაკამდე მიუშვა.

აქ შუაგულ ბანაკთან კი გულდასა და მუხრებმა უეცრად იშოშოლეს ხმლები და ვითარცა მგლები დაეოვნენ გაოგნებულსა და დაბნეულ თურქებს. დავითმა და დემეტრე დავითის ძემ ისარგებლეს მტრის არეულობით და ელვისებურად ეკეტენ...

დავითის ბრწყინვალე სამხედრო ნიჭმა და სამშობლოს დამცველთა მხნეობამ საქართველოს სრული

გამარჯვება არგუნა. დიდგორის ამბავი მთელს მსოფლიოს მოედო... დიან, გახსოვთ, დავით მეფემ ბრძანა: თუ ღვთის სჯულის დასაცავად ვიბრძობებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევრებს, თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ...“

ეშმაკებთან ბრძოლა, ეშმაკებთან ომი დავებდა საქართველოს: ამ სიტყვამ ქართველს არ შეიძლება საბი ძმის — ბადრის, უსუსისა და ამირანის ყამარის შამის ლაშქართან ომი არ გაახსენოს; მისი ლაშქარი ხომ სულ ქაჩებისა და ეშმაკებისგან იყო შემდგარი...

ამ სიტყვამ ქართველს არ შეიძლება საბი ძმადნადფიცის — ტარიელის, აუთანდილის და ფრიდონის ქაჩებთან ომი არ მოავიწყოს... მაგრამ ამირანის და ტარიელის ამბავი შემოქმედის ფანტაზიაა — ლეგენდაა, პოემაა... დავითის ამბავი კი მართლა ომი!

ამირანის ეპოსის მიხედვით „თვალდაუწვდენელი მიხედვით დახოცილთა ლემით იყო შერთული და შეფერილი. ყვავი და ყორანი ხარობდა. სისხლი რუებდა მიდიოდა...“

„ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, „მაშინ ქაჩეთს მიეწია უსასოზო რისხვა ღმრთისა... ველნი მკვდართა ვერ იტყუდეს, გადაიდა ჯარი მკვდრისა“...

ქართლის ცხოვრების მიხედვით: „აღივსეს ველნი, მთანი და ღელენი მძორებითა“...

დიან, დიდგორი, დიდგორის მემორიალი, და საერთოდ, დავით აღმაშენებლის ცხოვრება და მღვწეობა, სწორპოეზია თუმა განსჯისთვის — „თუ რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვეთ კვლავად“ (ილია ჭავჭავაძე).

სამწუხაროდ, დღემდე ამ თემას ასე ფართოდ ვერაფერს წარმოაჩენდა: უძრავობს პერიოდის ერთი სველმოსაფლანარი მავალითი ისიც არის, რომ დიდგორის ბრძოლის 850 წლისთავი (1971), საქართველოს სასიქადულო მამულიშვილთა — მწერალთა და სწავლულთა დიდი სურვილის მიუხედავად, ოფიციალური ხელისუფლების ხელშეშლილობით არ გამოართულა...

საკვირველია, ბოროდინოს ბრძოლის (1812 წლის 24-26 აგვისტო) ყოველი წლისთავი, რუსეთისგან და საფრანგეთის იმპერიების ცხენოსანი არმიების ორთაბრძოლის თეატრალიზებული ბატალივები თეატრალისობით მაყურებლის თანდასწრებით იმართება ხოლმე...

და მაინც, ადგილობრივი აფიკურების, ბეჭატურების, წყალაურების თუ სხვათა მეცადინეობით, მცირე თუ დიდი დიდგორთა ყოველი წლის აგვისტოში იმართებოდა; სხვანაირად არც შეიძლებოდა, ვინაიდან დიდგორი, თითოეული ქვეყნის ქართველის გენსა და გულგონებამაზი ჩაბეჭდილი იყო, არის და იქნება.

აღმართი ადვილდასაძლევი თუ გამართული მახეანა არის. გზა ორია: მცხეთა-არმაზი-მეგვი-დიდგორი; ან: თბილისი-კოჭორი (წყნეთი)-ორბეთი-დიდგორი. კვირბები — გზის მაჩვენებლები, მაღალ კვარცხლბეკზე შემომსხდარი ორბნი-არწივები ყოველ მსურველს შემორიალამდე, ანუ ბრძოლის ადგილამდე ადვილად მიიყვანს.

დიდგორსა და მის სანახებს მნახველი, მლოცველი, წინაპართა ამბავის დამფასებელი მთულბ 869 წლის განმავლობაში არ მოჰკლებია.

ამ სტრუქტურების ავტორს ფეხით თუ ცხენით აქ ადრეც უვლია და თუ დაუჩერებთ, თუ ირწმუნებთ, გულწრფელად მოგახსენებთ, რომ ახლა, აქაური აღმართი საჭერ უფრო ადვილდასაძლევი.

ასე რომ, ყველას ადვილად ძალუის იხილოს აქაური ბუნების დიდებული სანახაობა და შემოქმედთა ხელით ნაშენებ-ნაქანდაკარი მემორიალი-სიმბოლო, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით გახსნილი ღმერთის, ვეფხისა და გმირების სადიდებელი — ავტორები: მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი და ხუროთმოძღვარი თამაზ გუნია...

განაჯი განია
ბადრი ვადაშვილი ფოტოგრაფი.



ახალგაზრდა ივერიელი

ახალგაზრდა ივერიელი

ოქანისგაღვიძან მიღებული სურათების ფოტოგრაფიული სერიები



ოქსანა ჯანაშვილი: ავტობიოგრაფიები

თბილისი, იერუსალიმი, ნიუ-იორკი... სამ დიდ ქალაქში იზარდა და ჩამოყალიბდა პირველი ნიუ-იორკის და სულით ამაღლებული მხატვარი ქალი, მხატვრის ასული **ოქსანა ჯანაშვილი**. თავის ხანუკვარ სამშობლოდ მაინც საქართველოს თვლის. ბუნებრივია: აქ აიღვა ფეხი, აქ ჩააგონა ოსტატმა მამამ მოამაგე ერის სიყვარული.

ახლანან ნიუ-იორკიდან მივიღე მისი ოცამდე სურათის ფერადი რეპროდუქცია, ორ გულთბილ წერილთან ერთად: ერთი ცისანას ხელითა დაწერილი, მეორე მამამისის აღმზრდელის და ოქანის ახლო მეგობრის, პროფესორ მორის დანიელის ხელით...

როცა ჯანაშვილები იერუსალიმში გადასახლდნენ, ცისანას სამხატვრო სასწავლებელი ახალი დამთავრებული ჰქონდა. ბ-მა მიხეილმა დამირეკა: ჩემს ქალიშვილს, გატაცებულ მკითხველს, სადილომოდო შრომად თქვენი პორტრეტის დახატვა სურს და თუ შეიძლება, უნდა გეწვიოთო? მადლობის მეტი რა შეთქმობა! მამის გავცანი მის პირველ ნამუშევრებსაც. მამის შთაგონებით და ხელმძღვანელობით რომ ხატვდა.

ავტობიოგრაფიები აინშტაინის პორტრეტის ფონზე (1990) — ესაა კლასიკური სტილიში შესრულებული ფაქიზი ნამუშევარი. შალაიან მშვენიერ ქალიშვილს აბრეშუმის თმა შუბლზე და მხრებზე ეფინება, ფართო შავი თვალებით გასცქერის სივრცეს, უკან კი, ფონზე, აინშტაინის პორტრეტია, თეთრი გრუნა თმითა და ცალი გადმოკარკლული თვალით. რომელშიაც ელდა ჩაქოვილი: ის კაცობრიობას გასცქერის, თავისი საშინელი გამოგონების გაუთვალისწინებელი შედეგებით შეწუხებული კატასტროფის მოლოდინით გამოგნებულ მეცნიერს თითქოს განზრახ გადაფარებია ღამაში ქალის სახე. სურათის უკან მხარეს ცისანას წარწერა: „სურათზე მუშაობის წინ... აინშტაინის თვალის გაპყურებს შეშფოთებული თანამედროვე სამყაროს, რომელიც დაღუპვის საშიშროების წინაშე დგას. სასსოვრად... ცისანა ჯანაშვილისაგან. ნიუ-იორკი. 1990“.

არანაკლებ ტრაგიკული და ძნელად ასახსნელი სურათია ორი წლის მოგვიანებით შესრულებული სცენა: ცეცხლგან ფონზე ფართო ნაბიჯით მოდის შიშველი პირველყოფილი ადამიანი, რომელიც თითქოს კლანიდან განუდევნიათ და სასოწარკვეთილების ნიშნად სახე ხელეობით დაუფარავს, შორიანლო კი უკან შვიდი-რვა ასეთივე ცეცხლისფერი გააღმსებელი ადამიანი მოდის. მთელი ჯგუფი განვიცხულს ასდევნებია ცისანას მრავალი ავტობიოგრაფიები აქვს. სახე ერთია, მაგრამ ეფექტი, იერი, განწყობილება მრავალფეროვანი. მანერა არ შეორდება. ეს მხატვრის გამარჯვებაა. ჩვენს ხელთაა ტრაგიკების ცენტრალური ნაწილი.

სახელმწიფოში დგას შინაურულად შემოსილი სევდიანი ქალიშვილი, მარჯვენა ხელი ღოუაზე შემოუღვია და სივრცეს გასცქერის. ოთახის კუთხე მისი სურათებითაა მოფენილი. მათ შორისაა თბილისის პეიზაჟი, აინშტაინის დაფარული სახე, მჭიდროდ ქალიშვილი ცისკენ მიმართული ხელით. ეს ყოველივე ცალკე სურათად შეუკრავს. საყურადღებოა „ორი გზა კემპარიტებისაკენ“ (1990). მალდა აღმართული ხელი ციურ გზას გვიჩვენებს. მიწის კი განასახიერებს აინშტაინი. ან იქნებ მხატვარს სხვა გააზრება აქვს?

ერთ-ერთ ავტობიოგრაფიაში ცეცხლის ფონზე დგას სევდიანი ქალიშვილი, სამშობლოს დარღობი მოცული ეს მხატვრის მოკლე წირილი-დანაც ჩანს, რეპროდუქციის უკანა მხარეს რომ იკითხება: „ბ-ნო... სიტყვით ვერ გამოვხატავ ჩემს გრძობას სიყვარულისას თქვენს მიმართ და გულის ტკივილს, რაც მე ცხოვრებამ განმაცდევინა... იმედი მაქვს, ჩემი ავტობიოგრაფიები განაგრძობს თქვენთან საუბარს. იმასაც ვფიქრობ, რომ ჩემი ნამუშევრების რეპროდუქციებს ხელში დაიჭერთ, მუწად ვიქცევი, როცა ამდენი რამ მაქვს სათქმელი და მხოლოდ ფუნჯით ვერ გამოვხატავ გულისნადებს, — საქართველოს სიყვარულთან ერთად. მადლობა მამასთან მეგობრობისათვის, მარადიული ერთგულებისათვის ჩვენი და ჩვენი ტანჯული ხალხისადმი. ცისანა ჯანაშვილი. ნიუ-იორკი, 1990“.

ცისანას საჩუქარს მორის დანიელის წერილიც ახლდა: „ვიცი წინა-აღმდეგობითაა სახვე თქვენი ბრძოლა თავისუფლებისათვის, მაგრამ სადაც არაა ბრძოლა, იქ არაა შემოქმედება. ვიცით, როგორც იბრძვის ნიჭიერი ქართველი ერი თავისი დამსახურებული ათასწლოვანი თავისუფლების აღდგენისათვის. ესაა ეკლიანი გზა. რომ ახვიდე მწვერვალზე, უნდა გაინცდო, იტანჯო და ცრემლები ღვარო. ცრემლი მწუხარებას ანელებს, შეუბოვრობა იმარჯვებს. როგორ მწყურია ერთად ვისხდეთ და ვისაუბრობო, მაგრამ სადაურსა სად გადაისვრის ეს ქარიშხლიანი ცხოვრება! საქართველოს დედაქალაქში დავიბადე და დავბერდი, დღეს ამერიკაში ვარ, მაგრამ დიდი სიყვარულისა და ერთგულების მარადიული ცეცხლი ანთია და არა ქრება, არც ჩაქრება არასოდეს ჩვენი სიყვარული დედაამიწის ზურგზე ერთადერთი კუთხისა, სადაც ხალხმა შეითვისა და არ დაჩაგრა ჩემი ტანჯული ებრაელი ერი. ვიცი, გაინტერესებთ ჩემი აღზრდილი ოსტატის — მიშას ქალიშვილის ბედი. მიშას უკანასკნელი სიტყვები, რაც იერუსალიმიდან თბილისში, ტელეფონის ყურმილში გაისმა, იყო: „დამილოცეთ ჩემი საქართველო!“ ასევე ერთგულია ცისანა... იქნებ რომელიმე ქართული გაზეთი დაინტერესდა ცისანას ნამუშევრებით. რომ გაჩვენათ, როგორ ქმნიან მისი პატარა თითები დიდ ტილოებს, გაგიკვირდებოთ. ეს ნიჭი თბილისში ყალიბდებოდა. მამის დაკარგვამ ღრმა დაღი დაასვა მის შემოქმედებას. მაგრამ ის მუშაობს, მისი შემოქმედებითი სტილი ამერიკელ ოსტატებს ხიბლავს, აქ შეხამებულია რეალობა და მდიდარი ფანტაზია. მის ნამუშევრებში ჩაქსოვილია დარდი, სიხარული, ფილოსოფიური შინაარსი. ამისი მაგალითია ცისანას „აინშტაინი და სამყარო“. ვფიქრობ, მის სათუთ ნიჭში არის რაღაც გრანდიოზული, დიდი იდეალისადმი სწრაფვა. მართალია, რემბრანდტსა და რენუარს თვლის თავის კერპებად, მაგრამ დამოუკიდებელი ხელწერა აქვს, ორიგინალურად წყვეტს ჩანაფიქრებს. არც მრავალმხრივობა აკლია. საინტერესოა ფერთა შეხვედრის მისი მანერა. თვითონაც თითქოს ხალასი ნახატია თავისი მოციმციმე ფართო თვალებითა და დიდი შუბლით. როგორც მშობელ მამას, ისე მეხვევა და მეც განვიციდი მისი ფაქიზი პიროვნების ღრმა სიყვარულს, როგორც მიყვარდა მამამისი, ერთხელ მუხლმოყრილმა რომ მიძღვნა შესანიშნავი ტილო. ცისანა არტისტიკაა არტისტულად გამოიყურებიან მისი სახეები. თავისებური დრამატიზმია ჩაქსოვილი მათს გამომეტყველებასა და რაკურსებში. „რა ვქნა, მეუბნება, ჯერაც თქვენი ბატისტინა გოგო ვარ, მაგრამ ვეცდები გავხდეთ ისეთი, როგორც ხელოვნების სიწმინდეს და სიღიადეს შეეფერება“. თქვენი სუსხიანი კრიტიკა სულ თან დამდეგსო, ამბობს, და ცეცხლს მიმატებსო. მეც მიხარია, რომ წაქცეულ მუხას ღრმად გაუღდამს მიწაში ფესვები. ეს ქართული მუხაა. ახლა ნიუ-იორკშიც მზადდება ცისანას დიდი გამოგონა. ვნახოთ“.

ახეთია მორის დანიელის წერილის ფრაგმენტები. მისი და ცისანას სახით ამერიკაში საქართველოს ერთგული მეგობრები ჰყავს და ჩვენი სურვილია ახეთი მეგობრები გვიმრავლოს ქვეყნიერების ყველა მხარეში.

